

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

### ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრის ოქმი N3

10 დეკემბერი 2021 წელი

მიმდინარე წლის 10 დეკემბერს გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მესამე შეხვედრა. ქვეყანაში არსებული პანდემიის გათვალისწინებით აღნიშნული შეხვედრა პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით ონლაინ რეჟიმში გაიმართა. შეხვედრას საკოორდინაციო საბჭოს წევრები, ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი, დირექტორის მოადგილეები ლაშა მარგიშვილი და კახაბერ ერაძე და ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემდეგი წევრები:

- ა) **კაი ეტზოლდი** - უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი;
- ბ) **შალვა მეკრავიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმა დანერგვა და მონიტორინგი" პროგრამის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქვეპროგრამის" ფარგლებში სამოქალაქო განათლების ექსპერტი;
- გ) **მაკა აბულაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;
- დ) **კახაბერ ჭელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ე) **ირმა ქურდაძე** - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- ვ) **ნათია ჯოჯუა** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
- ზ) **ზაზა ფურცელაძე** - ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში;
- თ) **მაია შუხოშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი;
- ი) **ანასტასია ქიტიაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;
- კ) **თეა გულუა** - გაეროს განვითარების პროგრამის განათლების მენეჯმენტისა და ინოვაციების სპეციალისტი, პროფესიული განათლების ექსპერტი;

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას არ ესწრებოდნენ:

- ა) **ჰელი მატისენი** - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორი;

ბ) რუსუდან სანაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. უმაღლესო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ 5<sup>1</sup> მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე შეხვედრის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა თეა გულია.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე და დასრულდა 14:00 საათზე. საბჭოს სხდომა უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანით.

### **საბჭოს შეხვედრის დღის წესრიგი:**

11:00 - 11:05 მისალმება - თამარ მახარაშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

11:05 - 11:35 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის სამოქმედო გეგმის წარდგენა-

გიორგი მუნჯიშვილი - ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილე

ნინო ქადაგიშვილი- ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დაგეგმვის კოორდინატორი

11:35-11:50 კითხვა-პასუხი

11:50- 12:05 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში განსახორციელებელი ცვლილებების წარდგენა - ნიკოლოზ ფარჯანაძე, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

12:05-12:20 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებში განსახორციელებელი ცვლილებების წარდგენა - ნიკოლოზ ფარჯანაძე, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

12:20-12:35 კითხვა-პასუხი

12:35-12:50 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის სამტატო განრიგისა და ბიუჯეტის პროექტების წარდგენა - მაია კალანდაძე, ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

12:50-13:05 კითხვა-პასუხი

13:05-13:20 „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული სერვისებისა და მოწყობილობების მოხმარების პოლიტიკის დოკუმენტის წარდგენა“ - გიორგი გვასალია - ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი

13:20-13:35 კითხვა-პასუხი

13:35-13:50 საკოორდინაციო საბჭოს შეფასების მეთოდოლოგიის განხილვა - გიორგი მუნჯიშვილი - ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილე

13:50-14:00 კითხვა-პასუხი

შეხვედრა საკოორდინაციო საბჭოსთან დაიწყო ცენტრის დირექტორის, თამარ მახარაშვილის მისალმებით. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს ჩართულობისთვის და აღნიშნა, რომ 2022 წელს ცენტრი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმავს, მათ შორის უნდა აღინიშნოს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში დაგეგმილი აქტივობები, რომელიც ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტების და პროცესების განახლებას, დაწესებულებების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფასა და ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ასევე მიმართა ცენტრის დირექტორის მოადგილემ, კახაბერ ერაძემ და ყურადღება გაამახვილა ცენტრის 2022 წლის სამოქმედო გეგმის მნიშვნელობაზე, ასევე აღნიშნა ცენტრის სტრატეგიის შემუშავებაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამმობილების პროექტის, „ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციების მართვის გაძლიერება საქართველოში“ (Twinnig) როლი. აღნიშნა, რომ პროცესი წარმართა გამჭვირვალედ, დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით, აქტივობების შესრულების მონიტორინგი კი ხდება ასევე პროექტის მხარდაჭერით შემუშავებული ელექტრონული სისტემის საშუალებით და ამისთვის მადლობა გადაუხადა პროექტის წარმომადგენელს და საკოორდინაციო საბჭოს წევრ, კაი ეტცოლდს. 2021 წლის სამოქმედო გეგმის შედეგების პრეზენტაცია მოხდება შემაჯამებელ კონფერენციაზე.

დღის წესრიგის მიხედვით პირველი საკითხი წარადგინეს ცენტრის დაგეგმვის. კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებმა. პრეზენტაციის პირველი ნაწილი დაეთმო 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის აღწერას, შემუშავების მეთოდოლოგიას და დოკუმენტის პროექტის წარდგენას დაინტერესებული მხარეებისთვის. სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის სექტემბრის მეორე ნახევარში, სამუშაო პროცესში სტრუქტურულ ერთეულებს ჩაუტარდათ მოსამზადებელი ტრენინგი და წარედგინათ სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტი. სამსახურებიდან წარმოდგენილი გეგმების შემდეგ, გაერთიანებული დოკუმენტი ჯერ წარედგინა ცენტრის მენეჯმენტს, ხოლო, შემდეგ სამუშაო შეხვედრების ფარგლებში წარედგინათ დაინტერესებულ მხარეებს. სამუშაო შეხვედრებს დაესწრო 300-ზე მეტი პირი, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, საბჭოების წევრები და ექსპერტები. ფართო ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, პროექტი ასევე განთავსებული იყო ცენტრის ვებგვერდზე. აქვე, აღინიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო 2021 წლის შედეგები, საერთაშორისო ვალდებულებები, განათლების სისტემის გამოწვევები და სიახლეები. დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს ის მნიშვნელოვანი თემები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2022 წლის სამოქმედო გეგმაში, მათ შორის სერვისების და პროცესების დიგიტალიზაცია, პროცესებში

ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება, ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, კვლევა, ანალიზი და ინტერნაციონალიზაცია. დამატებით ხაზი გაესვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულ აკრედიტაციას, სადოქტორო პროგრამების შეფასების კონცეფციას და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში სტანდარტებისა და პროცესების ცვლილებს. აქვე აღინიშნა, რომ 2021 წელი იყო მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ ცენტრმა აქტიურად დაიწყო მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება, ამ მიზნით კი, როგორც 2021, ასევე 2022 წელი აქტიურად იყო დატვირთული კვლევითი საქმიანობით.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის ფორმატში. საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დასვა რამდენიმე შეკითხვა. პირველი შეკითხვა ეხებოდა ცენტრის მიერ დაგეგმილ კონფერენციას და დაინტერესდა თუ იქნებოდა მომხსენებლების პრეზენტაციები საჯაროდ ხელმისაწვდომი, რაც მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის. პასუხად, კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ცენტრი რა თქმა უნდა იმსჯელებს მასალების გამოქვეყნების საკითხზე.

მეორე შეკითხვა ეხებოდა სამოქმედო გეგმის ფარგლებში თვითშეფასების პილოტირებისას განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულს და დაინტერესდა რა ნიშნით იქნებოდა არჩეული აღნიშნული მინიმუმ 5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. პასუხად, დირექტორის მოადგილე, კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ თვითშეფასებას სკოლა განახორციელებს ინდივიდუალურად ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ეს უფრო მეტად არის ტექნიკური ხასიათის პილოტირება, ამას სისტემური ხასიათი ამიტომაც არ აქვს. ტექნიკურ პილოტირებაში შეირჩევა როგორც ქალაქის სკოლა, ასევე რეგიონის სკოლა, კერძო სკოლა და ა.შ. 2022 წლის მეორე კვარტლიდან ყველა სკოლა დაიწყებს დიაგნოსტიკურ თვითშეფასებას. ცენტრიდან აქტივობაზე მიმდგრებული იქნება მხარდაჭერის სპეციალისტი შინაარსობრივ საკითხებზე.

მესამე კითხვა იყო ტექნიკური ხასიათის. კერძოდ ამოცანა 5.5-ში რატომ არ იყო წარმოდგენილი აქტივობა და იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი, ასევე პროექტში არ ჩანდა 6.1 ამოცანა. პასუხად, ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი მუნჯიშვილმა განმარტა, რომ ამოცანა 5.5-ში 2022 წლისთვის ცენტრის მხრიდან აქტივობა არ იქნა გაწერილი, თუმცა ამოცანა სამუშაო ჯგუფების და განხილვების ფარგლებში, პროექტის დამტკიცებამდე ღიად რჩებოდა და ცენტრი მზად იყო შესაბამისი ინიციატივების ფარგლებში დაემატებინა აქტივობა. 6.1 ამოცანასთან მიმართებით კი სავარაუდოდ არსებობდა ტექნიკური შეფერხება, რადგან საბჭოსთან გადაგზავნილ დოკუმენტში ნათლად ჩანდა ამოცანის ტექსტი და დამატებით შეხვედრის ფარგლებშიც გაუზიარა საბჭოს წევრებს.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტი მოიცავს ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს, იგი მიესალმა ცენტრის მიერ გაწეულ დიდ საქმეს ამ მიმართულებით. ასევე, აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტებთან შეხვედრისას ისინი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ცენტრის წინსვლას.

მომდევნო კითხვა დასვა, საბჭოს წევრმა, კაი ეტზოლდმა. პირველ ეტაპზე მან აღნიშნა სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ცენტრმა შეიმუშავა დამბობილების პროექტის ექსპერტების მხარდაჭერით. ასევე აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით ცენტრი ფოკუსირებული იყო ზოგადი განათლების მიმართულებაზე მომდევნო

წლისთვის. მან იკითხა როგორ ჩართავდა ცენტრი რესურსცენტრებს დაგეგმილი სიახლეების განხორციელებაში და როგორ წარმართავდა ამ კუთხით პროცესებს. კითხვაზე საპასუხოდ, კახაბერ ერადემ განმარტა, რომ ცენტრის კონცეფციის შემადგენელი ნაწილია ის, რომ სწორედ მოხდეს ცენტრის როგორც ინსტიტუციის როლის სწორი გააზრება. ხარისხის განვითარება ვერ იქნება მხოლოდ ცენტრის პასუხისმგებლობა, რადგან მის უზრუნველყოფაში ჩართულია არაერთი ჩართული მხარე, მასწავლებლის სახლი, რესურსცენტრები და ა.შ. ცენტრის როლი არის გაზომოს ხარისხის მდგომარეობა და შეასრულოს მაკოორდინირებელი ფუნქცია სხვა სააგენტოებისთვის, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვთ ზოგადი განათლების ხარისხზე. რესურსცენტრების როლის გააზრება არის ზოგადი განათლების რეფორმის აუცილებელი ნაწილი და წინაპირობა. სწორად უნდა იქნეს გააზრებული მისი მანდატი. ეს იქნება სკოლის ადვოკატირება სამოქმედო ტერიტორიაზე და არა ადგილობრივი მონიტორინგის განხორციელება. დირექტორის, თამარ მახარაშვილის მიერ დამატებით აღინიშნა, რომ ეს საკითხი რესურსცენტრებთან უკვე წარდგენილი იყო.

საბჭოს წევრმა ზაზა ფურცელაძემ იკითხა რამდენად ჰქონდა წვდომა ცენტრს სხვადასხვა ორგანიზაციის თუ დონორის მიერ ჩატარებულ კვლევებზე და აღნიშნა, რომ ეს დიდი გამოწვევაა ორგანიზაციებისთვის და შეიძლება არსებობდეს პლატფორმა რომელიც თავს მოუყრიდა ამ ნაშრომებს და შეამცირებდა დუბლირებულ შრომას. დირექტორის მოადგილემ, კახაბერ ერადემ აღნიშნა, რომ ცენტრს როგორც სახელმწიფო ინსტიტუციას აქვს საშუალება გაეცნოს გარკვეულ კვლევებს და როგორც წესი თავად კვლევის ავტორები უზიარებენ ცენტრს განათლების მიმართულების ნაშრომებს. თუმცა, არის ერთეული შემთხვევები, როცა არ არის ცენტრისთვის ცნობილი ამა თუ იმ საკითხზე ჩატარებული კვლევები. მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია ერთობლივი ძალისხმევით პლატფორმის შექმნის დაინიცირება, რომელიც კვლევების თავმოყრას მოემსახურება და ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ცენტრი კი თავად იქნება ერთ-ერთი მომხმარებელი ამ პლატფორმის. თამარ მახარაშვილმა განმარტა, რომ ცენტრი არაერთ საერთაშორისო პროექტშია ჩართული უმაღლესი განათლების მიმართულებით და აქვთ საშუალება გაეცნონ განათლების სივრცეში არსებულ სიახლეებს, ასევე მხარი დაუჭირა საბჭოს წევრის ინიციატივას და აღნიშნა რომ აუცილებლად შემდგომი სამუშაო წინადადებებით დაუკავშირდებოდნენ განხორციელებასთან დაკავშირებით.

დამატებით, დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა რომ ცენტრი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ვორქშოპებში, სემინარებში, შეხვედრებში. ცენტრი არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრიც და ცენტრის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები ყოველწლიურ ფორუმში, სადაც როგორც სპიკერები წარადგენენ კვლევის შედეგებს, ასევე ეცნობიან კოლეგების ნაშრომებს. ასევე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინიცირებით მიმართავს ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს კონკრეტულ თემაზე კვლევის ჩატარების მიზნით. ერთ-ერთი ბოლო კვლევა, რომელიც გამოწვევებიდან გამომდინარე ჩატარდა იყო სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა და განვითარება. სამსახურმა ჩაატარა თემატური ანალიზი და შედეგები დაეხმარა ცენტრს შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვაში. ლაშა მარგიშვილი ასევე დაეთანხმა აღნიშნულ აზრს, რომ შესაძლოა კვლევის გაზიარების საკითხი იყოს გამოწვევა. აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ცენტრი იფიქრებს რა შეიძლება გაკეთდეს პრობლემის აღმოსაფხვრელად. აღნიშნულ საკითხზე გიორგი მუნჯიშვილმა დაამატა, რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფარგლებში შედგენილი

დასკვნები და სხვა დოკუმენტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის გამოწვევების, ასევე განათლების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზისთვის და ამ მასალების მასშტაბურობიდან გამომდინარე, ცენტრისთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია ეს შედეგები დაამუშაოს თემატური ანალიზის ფარგლებში, რომლის შედეგები საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისთვის და შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო მასშტაბური კვლევებისთვისაც.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს 2022 წლის სამოქმედო გეგმის წარდგენილ პროექტს.

მომხრე: 10

მოწინააღმდეგე: 0

დღის წესრიგის მიხედვით, შემდგომ საკითხად განსაზღვრული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებში განსახორციელებელი ცვლილებების წარდგენა. პრეზენტაცია აღნიშნულ საკითხებზე წარადგინა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილებები ასევე განხილული იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

პრეზენტაციის პირველ ნაწილში ნიკოლოზ ფარჯანაძემ ისაუბრა თუ რა დადებით მხარეები აქვს კლასტერულ აკრედიტაციას და აღნიშნა, რომ აქ მნიშვნელოვანია პროგრამის შინაარსში ჩაღრმავება. კლასტერული აკრედიტაცია იძლევა არამართო ფორმის და სტრუქტურის შეფასების, არამედ პროგრამების სწავლა-სწავლების პროცესის შიგნიდან დაკვირვების შესაძლებლობას. ცვლილების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. ცენტრისთვის და დაწესებულებებისთვის შეფასების ეს მოდელი არის კარგი შესაძლებლობა რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენოს რესურსი, შესაბამისად ნაკლები დანახარჯით შეძლებენ მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევას. ცვლილებების მიხედვით ერთი სფეროს სამივე საფეხურის პროგრამა ერთმანეთთან კავშირში და ბმაში შეფასდება. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ცენტრი დააკვირდება ცალკეულ პროგრამას. აქ მნიშვნელოვანია რამდენად არსებობს ცალკეულ პროგრამასთან და კლასტერთან დაკავშირებით ინსტიტუციური მიდგომა, რამდენად თანმიმდევრულია უნივერსიტეტი პროგრამის სხვადასხვა საფეხურზე განხორციელების პროცესში.

ასევე, მნიშვნელოვანია დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება და განვითარება. ამ მხრივ ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური დიდ შრომას დებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სფეროების მიხედვით საბჭოების ფორმირება. ეს გაცილებით ეფექტურს გახდის როგორც პროცესებს, ასევე საბჭოს მუშაობას.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტების პილოტირების ეტაპზე ჩართული იყო სამი დაწესებულება და ცხრა საგანმანათლებლო პროგრამა. ეს გამოცდილება ასახული იყო წარმოდგენილ დოკუმენტში. კვალიფიკაციების განვითარების სამსახურთან ერთად შემუშავდა არქეოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლები.

პრეზენტაციაში აღინიშნა, რომ ექსპერტთა კორპუსის განვითარებისთვის ცენტრში დაიწყება გადამზადება დაგეგმილი კლასტერების შესაბამისად.

მან აღნიშნა, რომ ყველა ამ ცვლილებას სჭირდება საკანონმდებლო ბაზა და ამ მიმართულებით ცენტრი უკვე მუშაობდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილებები დროულად განხორციელდეს.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან დაკავშირებით განხორციელდა ცალკეული სტანდარტების სტრუქტურული ცვლილება, მოხდა კომპონენტების გადაჯგუფება, ვერბალური ნაწილის დაზუსტება, რათა თანაბრად იქნეს ყურადღება მიქცეული თითოეულ საკითხზე. პირველ სტანდარტს დაემატა 1.3; 1.4 და 1.5 კომპონენტები, რომლებიც მეორე სტანდარტიდან გადავიდა. ამ ტიპის დაჯგუფება უფრო მეტად შეესაბამებოდა იმ მიზანს, რაც ცენტრს ჰქონდა პროგრამების შეფასების პროცესში. მესამე სტანდარტში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებზე. ამ პროცესში აღსანიშნავი იყო უნივერსიტეტების უკუკავშირები.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო კვლევაზე ორიენტირებულობა და შესაბამისად, კვლევის მიმართულებით განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდებოდა მეოთხე სტანდარტში, მაგისტრანტების და დოქტორანტების კვალიფიკაციის ნაწილში, ასევე, პროცესის მაქსიმალურად გაჯანსაღებაზე. სტანდარტების მიხედვით სწავლის შედეგების კომპონენტებთან მიმართებაში დიდი აქცენტი გაკეთდებოდა სწავლის შედეგების მექანიზმებზე. ამ მიმართულებით უნივერსიტეტებს ჯერჯერობით მწირი გამოცდილება ჰქონდათ და დაამატა, რომ ცენტრი მზად იქნება მუდმივი კომუნიკაციისთვის უსდ-ებთან და უზრუნველყოფდა მხარდამჭერ ღონისძიებებს.

დამატებით აღინიშნა, რომ სტანდარტების კრიტერიუმების და შეფასების ინდიკატორების გადახედვის შემდგომ ცენტრი ცდილობდა, რომ მაქსიმალურად შეემცირებინა არასაჭირო დოკუმენტაციის შეგროვების აუცილებლობა. ამ მიმართულებით ცენტრი აგრძელებდა მუშაობას. მეორე სტანდარტთან მიმართებაში აქცენტი კეთდებოდა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, სადოქტორო პროგრამაზე. ამ მიმართულებით შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტი და შეფასების კუთხითაც ცენტრს ჰქონდა მოსაზრება მესამე სტანდარტთან მიმართებით კი ხელმძღვანელობის საკითხი გამოიყო. კვლევის კომპონენტის მნიშვნელობაზე მესამე სტანდარტში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდებოდა. მეოთხე სტანდარტში აქცენტი გამახვილდა სასწავლო რესურსებზე. მეხუთე სტანდარტი-სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, ამ მიმართულებით თვითშეფასების დოკუმენტი იყო ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, ცენტრმა 25 დაწესებულებიდან მიიღო უკუკავშირი, საიდანაც 10 იზიარებდა გაზიარებულ დოკუმენტს. დანარჩენმა კი ცენტრს წარუდგინა უკუკავშირი, რაც მაქსიმალურად აისახა დოკუმენტში.

დღის წესრიგის მიხედვით, მეორე პრეზენტაცია დაეთმო პროცედურების ნაწილს, კერძოდ აკრედიტაციის დებულებაში შესულ ცვლილებებს.

აღსანიშნავი იყო, რომ განისაზღვრა ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის ვარიანტი, პროგრამების დაჯგუფების წესი კლასტერში, მაქსიმუმ 8 პროგრამა. პილოტირების ფონზე შესწავლილ იქნა ეს ინფორმაცია და დადგინდა, რომ დღეში ორზე მეტ პროგრამას ვერ დაამუშავებდა დარგობრივი ექსპერტი. როგორც ცნობილი იყო, უმეტეს შემთხვევაში კლასტერულ აკრედიტაციას სჭირდებოდა ოთხი დღე, გარდა მედიცინის მიმართულების პროგრამებისა.

ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ პროგრამები დაჯგუფდებოდა ვიწრო, ან დეტალური სფეროს მიხედვით. უნივერსიტეტებს წარედგინებთ სამოდელო დოკუმენტი. აქაც დარგის და მიმართულების სპეციფიკა იქნებოდა გათვალისწინებული. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ აკრედიტაცია სავალდებულო ხდებოდა ყველა სახის პროგრამისთვის. მომავალში პროგრამები აღარ იქნებოდა ავტორიზებულ რეჟიმში, რაც ხარისხის განვითარების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო. რაც შეეხებოდა კლასტერში დაჯგუფების შესაძლო სცენარს, პროგრამების შესაძლოა დაჯგუფებულიყო ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ქრილში, ასევე შესაძლებელი იყო ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების დაჯგუფება. დოქტორანტურის პროგრამები, ცალკე კლასტერში გავიდოდა.

დამატებით აღინიშნა, რომ ცენტრი უზრუნველყოფდა ვიზიტზე თარჯიმნის მომსახურებას. ცენტრი გეგმავდა განაცხადებისთვის საფასურის დაწესებას. მთავარი ლოგიკა იყო ის, რომ დროულად უზრუნველყო ცენტრს პროგრამების აკრედიტაცია. შესაბამისად, შემოთავაზებული იქნებოდა ვადები პირველი თებერვლიდან პირველ მაისამდე, პირველი სექტემბრიდან პირველ დეკემბრამდე. აქ უნივერსიტეტებისთვის მთავარი საზრუნავი და შეკითხვა იყო არსებული პროგრამები რამდენად ჩაჯდებოდა ამ ფანჯრებში. აღნიშნულ საკითხზე ცენტრი მუშაობდა და მოსალოდნელი იყო, რომ ეს საკითხები დარეგულირდებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით.

საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა უკვე აღინიშნა, ამ პროცესში. სტანდარტების შეფასებაში ასევე განისაზღვრა პრიორიტეტები. პირველ ან მეოთხე სტანდარტში ერთი კომპონენტი თუ მაინც შეფასდებოდა ნაწილობრივ, საბჭო განსაზღვრავდა აკრედიტაციის მინიჭებას, მონიტორინგის წინაპირობით. საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებდა ინდივიდუალურ პროგრამასთან მიმართებაში. ცენტრი მუშაობდა იმაზე, თუ როგორ გაემიჯნა დასკვნის წერის პროცესში გარკვეული საკითხები.

საკითხის წარდგენისას ნიკოლოზ ფარჯანაძემ დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა შვიდი წლის ვადით და განისაზღვრებოდა მედიცინის პროგრამაზე სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის წესი. ასევე, მნიშვნელოვანი იყო უცხოეთში მოქმედო საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია.

კითხვა-პასუხის ფორმატში, საბჭოს წევრმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ჩარჩო დოკუმენტის შეფასება. უსდ-ებისთვის ეს იქნებოდა გზამკვლევივით. ასევე, აღნიშნა, რომ ევროპული გამოცდილებით სადოქტორო პროგრამები შედის კლასტერში, თუმცა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით საინტერესოა ცენტრის შემოთავაზებული ვერსია. აღნიშნული საფეხურის გაზრდილი მოთხოვნებით წარმოდგენა იყო ძალიან სწორი. მან კითხვა დასვა ვადებთან დაკავშირებით, რამდენად მოსწრებადი იყო ამის განხორციელება. ცენტრის დირექტორმა განმარტა, რომ ცენტრმა აქტიურად იმუშავა ამ მიმართულებით და დარგობრივი



მახასიათებლები 2021 წელს დაამტკიცა, რადგან ცენტრისთვის ცნობილი იყო კონკრეტული გრაფიკი 2022 წელს რომელ სფეროს უწევდა კლასტერში ჩასმა. 2022 წელი ჰუმანიტარული მიმართულების წელს წარმოადგენდა. დარგობრივი მახასიათებლები უკვე არსებობდა და უნივერსიტეტებს შეეძლოთ შესაბამისობაში მოეყვანათ პროგრამები და მოემზადებინათ ისინი აკრედიტაციისთვის. ფანჯრისთვის მათ ექნებოდათ 6 თვე, ეს ნიშნავდა იმას, რომ ვადა გონივრულადა იყო აღებული. ამას ემატებოდა ის ვადა, როდესაც დამტკიცდა დარგობრივი მახასიათებელი. ცენტრის მხრიდან ყველანაირი სამუშაო ჩატარდა იმისთვის, რომ გონივრული ვადა ჰქონოდათ დაწესებულებებს. ცენტრი აქტიურად უწევდა და გაუწევდა კონსულტაციას დაინტერესებულ დაწესებულებებს აღსანიშნავი იყო ასევე პილოტირების ჩატარება. ის რაც დოკუმენტურად არსებობდა პრაქტიკაში გამოიცადა. რეალურად ძირითადი ცვლილება სადოქტოროს შეეხო და სწავლის შედეგების კარგად გამოკვეთას და იდენტიფიცირებას. სტანდარტები მოერგო კლასტერს და უფრო მეტად გამჭვირვალე გახდა. საკანონმდებლო დონეზე კი ცვლილებები წლის ბოლომდე გავიდოდა.

საკორდინაციო საბჭოს წევრმა მაკა აბულაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი შრომა ჩანდა წარდგენილ დოკუმენტში და მიესალმა ცენტრის მიერ გაწეულ საქმიანობას ამ მიმართულებით. მაკას მიერ დასმული იქნა კითხვა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების მე-19' მუხლთან მიმართებით. აკრედიტაციის მოსამზადებელ შეხვედრაზე, მითითებული იყო, რომ არანაკლებ ერთი თვით ადრე შეეძლო უნივერსიტეტს მიიღოს კონსულტაცია მაკას კითხვა იყო თუ რამდენად სწორი იყო ცენტრის მიერ განსაზღვრული ვადა და ეს ხომ არ წახალისებდა თვითშეფასების პროცესის დაჩქარებას. ხომ არ ჯობდა სხვა ვადები ყოფილიყო შეთავაზებული. დირექტორის მიერ განმარტებულ იქნა, რომ ცენტრი დაწესებულების თვალთ შეყურებს ამ პროცესს. ვადის გაწერის დროს გათვალისწინებულ იქნა თუ სად შემოდიოდა ინტერესთა კონფლიქტი. აქვე აღსანიშნავი იყო მუდმივი ტრენინგების ციკლი დაწესებულებებთან, მათ შორის კლასტერზე გადასვლასთან დაკავშირებით. ასევე, მომზადებული იყო გზამკვლევები დაწესებულებებისთვის. ნიკოლო ფარჯანაძემ კომენტარის სახით აღნიშნა, რომ კლასტერულ აკრედიტაციაში სწორედ ის იყო გამოკვეთილი, თუ როგორ ხორციელდება პროგრამა ინსტიტუციურ დონეზე, შესაბამისად, ერთი თვით ადრე დაწყებული პროცესით კლასტერული აკრედიტაციის ლოგიკას ვერ აჩვენებდა უსდ, სწორედ ამ მიმართულებით იყო სამუშაო, რომ პროცესების მართვის და ხარისხის უზრუნველყოფის შინაარსი კიდევ ერთხელ კარგად ყოფილიყო გააზრებული. ეს იყო ყოველდღიურად მოპოვებული შრომის და შეჯერებული ინფორმაციის დოკუმენტი და არა ერთ კვირაში დაწერილი.

საბჭოს წევრმა კაი ეტზოლდმა, მიულოცა ნიკოლოზ ფარჯანაძეს ახალ თანამდებობაზე დანიშნა და აღნიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების შედეგები ასახული იყო წარმოდგენილ დოკუმენტში და მიესალმა ფოკუსირებას კვლევაზე. ცენტრის დირექტორმა კი აღნიშნა კაი ეტზოლდის მიერ გაწეული საქმიანობა პილოტირების პროცესში. ასევე, დაამატა, რომ ცენტრი გეგმავდა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობას ინტერნაციონალიზაციის ჭრილში.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ საბჭომ მხარი დაუჭირა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში განსახორციელებელ ცვლილებებს.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

საკოორდინაციო საბჭოს მხარი დაუჭირა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებში განსახორციელებელს ცვლილებებს.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა მაია კალანდაძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, მისი ძირითადი პარამეტრები. 2022 წლისთვის ცენტრმა მოითხოვა 2.976.000 ლარი, აღსანიშნავია, რომ გაზრდილი იყო მომუშავეთა რიცხოვნობა, 50-დან 54 საშტატო ერთეულამდე, რომელთა სახელფასო ანაზღაურება, პროექტის მიხედვით ბიუჯეტიდან იყო 821.000 ლარი.

ასევე, წარდგენილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის წილი და საკუთარი შემოსავლების წილი ბიუჯეტის პროექტში. აღსანიშნავია, რომ მეტი წილი მოდიოდა ცენტრის საკუთარ თანხებზე. რაც შეეხებოდა საკუთარი შემოსავლების და ხარჯების საკითხს, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ცენტრის შემოსავლებს უნდა შეედგინა 4.500.000 ლარი და ხარჯებს 5.000.141 ლარი. 2021 წლის მიმდინარე პერიოდისთვის გაზრდილი იყო ცენტრის საკუთარი შემოსავლები.

2021 წელს ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან დარჩენილი ნაშთის გამოყენებით 2022 წელს იგეგმებოდა ხარჯების გაზრდა, რომელიც ახალი რეალობიდან გამომდინარე შეეხებოდა 10% სახელფასო მატებას. ცენტრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სახელფასო მატება შეეხებოდა შტატგარეშე თანამშრომლებსაც, რომლის ხარჯი დაიფარება ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან.

წარდგენილ საკითხს ცენტრის დირექტორმა კომენტარის სახით დაამატა, რომ ცენტრის მიზანი იყო საკუთარი შემოსავლების ხარჯზე წლიდან წლამდე რაც შეიძლება ნაკლებად დაწოლოდა სახელმწიფო ბიუჯეტს. ეს არ იყო მხოლოდ ცენტრის მიზანი, ეს ასევე იყო ENQA-ს რეკომენდაციაც. 2019 წელს, როდესაც ცენტრი გახდა ENQA-ს წევრი, ცენტრის საერთო ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტის წილი იყო 65%-ზე მეტი, რაც შეიცვალა რადიკალურად და ENQA გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც ეხებოდა ცენტრის ფინანსურ დამოუკიდებლობას და მდგრადობას, საკუთარი შემოსავლები უტოლდებოდა ბიუჯეტში 65%-ს. ეს ტენდენცია გაგრძელდებოდა მომდევნო წლებში.

ამ ნაწილში კითხვა არ დაფიქსირებულა. საბჭომ უმრავლესობით მხარი დაუჭირა ბიუჯეტის წარდგენილ პროექტს.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, მომდევნო საკითხი წარადგინა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა. გიორგი გვასალიამ. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო 2022 წლის ინფორმაციის პოლიტიკასთან დაკავშირებული ცვლილებები. მან ისაუბრა კანონში ინიცირებულ ცვლილებაზე, რომელიც შეეხოდა ცენტრის მაკოორდინირებელ ორგანოს და გულისხმობს იმას, რომ ციფრული მმართველობის სააგენტო აღარ იქნებოდა ცენტრის კურატორი და ამ ფუნქციას განახორციელებს 'ოტო' - ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი. გიორგიმ აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი ცვლილება, რაც შევიდა ინფორმაციის უსაფრთხოების კანონში იყო ის, რომ 'ოტო' ყოველი წლის ბოლოს გარე სერტიფიცირებული ორგანოს მიერ შემოწმების შედეგებს მოითხოვდა ცენტრისგან.

გიორგი შემდგომ გადავიდა ელექტრონული სერვისებისა და მოწყობილობების მოხმარების პოლიტიკაზე, რომლის მიზანი იყო გაეკონტროლებინა და დაარეგულირებინა გარკვეული პროცედურები თანამშრომლის აყვანიდან მის გათავისუფლებამდე, ეს შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლის პერსონალურ კომპიუტერში საჭირო და აუცილებელ პროგრამულ უზრუნველყოფას, ქსელში ჩართულ მოწყობილობებს, თანამშრომლის კომპიუტერთან მუშაობის დროს წარმოქმნილი პრობლემის შემთხვევაში იმის განსაზღვრას, თუ რა პროცედურები უნდა გაატაროს ან ვის მიმართოს. ასევე დოკუმენტში მიმოხილული იყო ელექტრონული ფოსტის, პაროლების და მომხმარებლის პოლიტიკა და მომხმარებლის ანგარიშის დეაქტივაციასთან დაკავშირებული საკითხები. გიორგიმ ხაზი გაუსვა, რომ მთლიანობაში ამ პოლიტიკით უფრო თვალსაჩინო ხდებოდა დასაქმებულის ვალდებულებები ინფორმაციული უსაფრთხოების ნაწილში მუშაობისას და მისი გათავისუფლების შემდეგ.

პრევენტივის დასრულების შემდეგ, კითხვა-პასუხის ფორმატში ზაზა ფურცელაძემ აღნიშნა, რომ როდესაც ელექტრონულ რესურსებზე წვდომაზეა საუბარი ორი მნიშვნელოვანი თემა იკვეთება, ე.წ. 'Safe guarding' პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მოწყვლადი ზრდასრულების და ბავშვთა დაცვას ციფრულ სივრცეში. მისი თქმით მოწყვლადი ზრდასრულები განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს, მას ჰქონდა კითხვა, ამასთან დაკავშირებით იქნება თუ არა კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებული, რათა პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები თუ სხვები იყვნენ დაცული, ან თუნდაც ჰქონდეთ ინფორმაცია არსებულ რისკებთან დაკავშირებით. აქვე, ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბავშვების დაცვას, ამ კონტექსტში კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება სამინისტროსთვის იყო მშობლებისთვის ცნობიერების ამაღლება. ზაზას აინტერესებდა, თუ რამდენად შეიძლება ჩართულიყო ამ პროცესში ცენტრი. დამატებით, ისაუბრა ერთ-ერთი ძირეულ პრობლემაზე, ენობრივ ბარიერზე, რომლის დასაძლევადაც მისი ორგანიზაცია დიდ ძალისხმევას ხარჯავს.

ცენტრის დირექტორმა, თამარ მახარაშვილმა მიმართა ზაზა ფურცელაძეს, რომ მის მიერ ჩამოთვლილი პრობლემები მხოლოდ ცენტრის მოსაწესრიგებელი ვერ იქნებოდა გამომდინარე დაწესებულების მანდატიდან და ამ საკითხებზე უფრო კონკრეტულად კანონშემოქმედებს უნდა ემსჯელათ, თუმცა ცენტრი, თავისი ხარისხის შეფასების მექანიზმით ამ საკითხებს მიაქცევდა ყურადღებას. მან ასევე დასძინა, რომ ეს მიმართულებები საკმაოდ ახალი იყო ყველასთვის და ბევრი რამ იყო გასაკეთებელი იმისათვის, რომ ამ გამოწვევებს ცენტრი

დაპირისპირებოდა, მათ შორის ადამიანური და ფინანსური რესურსიც, რის გამოსაყოფადაც ცენტრის დირექტორმა მზაობა გამოთქვა.

გიორგი გვასალია ასევე დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ეს პრობლემები რეალური იყო, თუმცა 'კონტენტის' ფილტრაციის საკითხში უფრო კომპეტენტური იქნებოდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ჩართვა, რომელიც გარკვეულწილად უკვე ახორციელებდა ზემოთ აღნიშნულს არასრულწლოვანებისთვის. მაგრამ, პრობლემა უფრო დიდი სიმწვავეით იდგა გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეები ბოლო პერიოდში გადაერთნენ სახლიდან სწავლაზე, ვერც ცენტრს და ვერც სამინისტროს პირდაპირი წვდომა ვერ ექნება მათ პერსონალურ კომპიუტერებზე. გიორგი დაეთანხმა ზაზას ცნობიერების ამაღლების საკითხშიც და განაცხადა, რომ კიბერ უსაფრთხოების ცნება სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საკმაოდ ბუნდოვანი იყო საქართველოში როგორც ტერმინოლოგიურ, ასევე იურიდიულ ნაწილში. ამის მიუხედავად, ქვეყნის 2021-2024 წლების ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების სტრატეგიაში ერთ-ერთი მთავარი ნაწილი ეკუთვნოდა სასკოლო და საგანმანათლებლო გარემოში კიბერ ჰიგიენის დაცვას და ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების გარშემო ცნობიერების ზრდას, ხოლო ცენტრი აპირებდა გაჰყოლოდა ამ სტრატეგიას და იმოქმედებდა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ელექტრონული სერვისებისა და მოწყობილობების მოხმარების პოლიტიკის დოკუმენტის მიღებას.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

შეხვედრის ბოლო საკითხი დღის წესრიგის შესაბამისად იყო საკოორდინაციო საბჭოს, როგორც ერთიანი აპარატის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც გიორგი მუნჯიშვილმა წარადგინა. მისი თქმით წინა და ამჟამინდელი საკოორდინაციო საბჭოს დროს საკმაოდ დიდი ცვლილებები მოხდა, რამაც გაზარდა საბჭოს უფლებამოსილება და გაფართოვდა საბჭოს შემადგენლობა, ახლანდელ საკოორდინაციო საბჭოში მეტი დაინტერესებული მხარე იყო წარმოდგენილი, მეტად დაზუსტდა საბჭოს წევრებისადმი მოთხოვნები და მუშაობის წესი. გიორგიმ აღნიშნა, რომ ცვლილებებს საფუძვლად ედო გარე შეფასების ფარგლებში განხორციელებული რეკომენდაციები, კონკრეტულად ESG 2015-ის სტანდარტები და ENQA-ს რეკომენდაციები, ასევე ხაზი გაუსვა, რომ ცენტრი საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციულ მხარდამჭერს წარმოადგენდა და, შესაბამისად მეთოდოლოგიის ფუნქცია იყო ერთის მხრივ, შეფასდეს საბჭოს საქმიანობა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას და შემდეგ, მიღებული შედეგების მეშვეობით ცენტრმა გააუმჯობესოს თავისი საქმიანობა საბჭოსთან კომუნიკაციის ფარგლებში, მეორეს მხრივ, მოამზადოს რეკომენდაციები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებას.

მეთოდოლოგიის ჩარჩოზე საუბარი განაგრძო ლიკა ქუთელიამ, დაგეგმვის კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა. მისი თქმით

შეფასების კრიტერიუმად გადაწყდა ორი თემატიკა, პირველი ეს არის საკოორდინაციო საბჭოს მონაწილეობა საკითხების განხილვის პროცესში და მეორე, საბჭოს მიერ შესრულებული საქმიანობა.

პირველ კრიტერიუმში განისაზღვრა სამი ინდიკატორი. პირველი ეს იყო სხდომების რაოდენობა და დასწრების მაჩვენებელი. როგორც კარგი პრაქტიკა, ასევე დაწესდა მიზნობრივი მაჩვენებლები.. ლიკას თქმით, მეორე ინდიკატორად განისაზღვრა მიღებული გადაწყვეტილებების დროულობა. მესამე ინდიკატორი კი იყო კომუნიკაციის სიხშირე და უკუკავშირის დროულობა.

ლიკას თქმით ინდიკატორების შესაბამისად მონაცემები უნდა შეგროვდეს შემდეგი მეთოდების გამოყენებით: სხდომის ოქმების და საბჭოსთან მიმოწერის ანალიზი. ხოლო ამისათვის, შეადგინეს ინსტრუმენტი, რომელსაც დაარქვეს საბჭოს საქმიანობის ამსახველი ჩარჩო. მონაცემების ანალიზის სიხშირე კი განისაზღვრა წელიწადში ერთხელ (საანგარიშო წლის ბოლო პერიოდი).

ლიკა ქუთელიამ ასევე ისაუბრა მეორე კრიტერიუმზე - საკოორდინაციო საბჭოს მიერ ჩატარებული სამუშაო ცენტრის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების კუთხით. მან თქვა, რომ ამ კრიტერიუმს ოთხი ინდიკატორი აქვს: პირველი ეს არის საბჭოს შინაარსობრივი უკუკავშირი განხილულ საკითხებთან მიმართებით, და მისი მიზნობრივი მაჩვენებელია, რომ საბჭოს მსჯელობის დიდი ნაწილი უნდა მიემართებოდეს განხილული საკითხების შინაარსობრივ მხარეს. მეორე ინდიკატორია საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები კომპეტენციის ფარგლებში და მისი მიზნობრივი მაჩვენებელია წლის განმავლობაში, განხილული საკითხების ირგვლივ შემუშავებული მინიმუმ 2 რეკომენდაცია.

მესამე ინდიკატორი საბჭოს მიერ წარდგენილი ინიციატივები იყო, და აქ მიზნობრივად მაჩვენებლად განისაზღვრა ორი ინიციატივა. ლიკას თქმით ამ ინდიკატორების შესაბამისი მონაცემების შესაგროვებლად ისევ მოიაზრება საბჭოს სხდომების ოქმების ანალიზი და საბჭოს წევრების წერილობითი უკუკავშირის ანალიზი და ინსტრუმენტად კვლავ გამოიყენება საბჭოს მუშაობის ამსახველი ჩარჩო. თუმცა ამ ნაწილში ასევე იგულისხმებოდა თვისობრივი მონაცემების შეგროვება, ლიკამ განაცხადა, რომ ჩატარდებოდა ფოკუს ჯგუფები როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, ასევე აღსრულებაში ჩართულ პირებთან, სამსახურებთან, სამმართველოებთან. ამ შემთხვევაში ინსტრუმენტად გამოიყენებოდა ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი.

და ბოლოს, მეოთხე ინდიკატორი იყო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიზნობრიობა/ რელევანტურობა, რომლის მიზნობრივი მაჩვენებელი იყო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებით მიღებული შედეგი, ლიკას თქმით, ამ ნაწილში შეფასების მეთოდად განისაზღვრა სამაგიდო კვლევა, რა დროსაც გამოიყენება სხდომის ოქმი, საქმიანობის ანგარიშები და საქმიანობის ამსახველი სხვა დოკუმენტაცია. ხოლო თვისობრივი ანალიზისთვის კვლავ ფოკუს ჯგუფის მეთოდს მიმართავდნენ. ამ შემთხვევაშიც მონაცემები გროვდება წელიწადში ერთხელ (საანგარიშო წლის ბოლოს).

დასკვნის სახით ლიკამ აღნიშნა, რომ ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური პასუხისმგებელია შეფასებაზე და ის ანგარიშს წარუდგენს ცენტრის მენეჯმენტს. შედეგების გამოყენება კი მოხდება საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. გიორგი მუნჯიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ შეფასების აღნიშნული მეთოდოლოგია ერთი მხრივ ცენტრისთვის სასარგებლოა კოორდინირების გასაუმჯობესებლად და ადმინისტრირების ნაწილის დასახვეწად და მეორეს მხრივ, გაიცემა რეკომენდაციები, რაც დაეხმარება საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებაში. მისი თქმით, იგეგმება აღნიშნული მეთოდოლოგიის წელს დამტკიცება და მომდევნო წლის საბჭოს საქმიანობის უკვე ამ მეთოდოლოგიით შეფასება.

ამ ნაწილში კითხვები არ წამოჭრილა საკოორდინაციო საბჭოს მხრიდან და მათ უმრავლესობით მხარი დაუჭირეს შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დოკუმენტს.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

#### სხდომის თავმჯდომარე:

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამის განათლების მენეჯმენტისა და ინოვაციების სპეციალისტი, პროფესიული განათლების ექსპერტი



#### სხდომის მდივანი:

მაკა აბულაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი; სტუდენტი ექსპერტი

